საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა
G E O R G I A
KHARAGAULII MUNICIPALITY BOARD

5600, ხარაგაული**, 9** აპრილის ქ**. 15** ტელ**.: (433) 221520**
N15. 9Aprili str. Kharagauli
Tel: (433) 221520
E-mail: kharagauli@imereti.ge

N 49/3203
11/09/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ქალბატონ ინგა მაღრაძეს

წარმოგიდგენთ, განსახილველად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2016 წელს, რგპფ-დან დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების ცხრილს. გთხოვთ განიხილოთ და მოიწონოთ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები.

დანართი 4 ფურცლად.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი

პროექტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება №

17 სექტემბერი 2015 წელი.

დ. ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა №15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N48 დადგენილების ,, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“** ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 35 - მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტი, 54 -ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.თ“ ქვეპუნქტისა და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -19 მუხლის მე -3 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N48 დადგენილება ,, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებ გვერდი 21.11.2014)**

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **მ. ბარბაქაძე**

N 923-49
14/09/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გამგებელს ბატონ კობა ლურსმანაშვილს
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის ვლადიმერ გელაშვილის

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის # 53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის # 1504 და 7 სექტემბრის N 1881 განკარგულებების საფუძველზე კვლავ შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 20 იანვრის # 39 განკარგულებაში, რის შედეგადაც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 2 313 006 (ორი მილიონ სამასცამეტიათას ექვსი) ლარი შემცირდა 122 735 (ასოცდაორიათას შვიდასოცდათხუთმეტი) ლარით და განისაზღვრა 2 190 271 ლარით (ორი მილიონ ასოთხმოცდაათიათას ორასსამოცდათორმეტი) ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად ტენდერებით გაწეული ეკონომიის გამო საბოლოოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა პროექტების მიხედვით განისაზღვრა:

1. კიცხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია 683 698 ლარი;

2. ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია 600 000 ლარი;
3. დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს და მისის მიმდებარე ქუჩებზე (დევდარიანის, გურამიშვილის, ჭიპაშვილის) წყალმომარაგების სისტემის მოწყობა 173 890 ლარი;
4. დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - 38 791 ლარი;
5. დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაცია 92 223 ლარი;
6. დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია 449 999 ლარი;
7. ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაცია 12 0 000 ლარი;
8. საპროექტო დოკუმენტაციისა და და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა 31 670 ლარი.
9. მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია ა(ა)იპ-ების მოთხოვნები 2015 წლის სექტემბერ-დეკემბერში დამატებითი თანხის მოთხოვნის შესახებ, მუნიციპალიტეტის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მოთხოვნილი თანხების სრულად გამოყოფა, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ა(ა)იპ-ებს ამ ეტაპზე გამოეყოთ დამატებით სუბსიდია 83. 5 ათასი ლარის ოდენობით, ხელფასებისა და სხვა გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად.

   აქედან:

   - ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ჩხერიმელა 2009" – 30.0 ათ.ლარი;
   - ა(ა)იპ კულტურის ცენტრი - 17.0 ათ.ლარი;
   - ა(ა)იპ ხარაგაულდასუფთავება -30.0 ათ.ლარი;
   - ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიგა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი - 5.5 ათ.ლარი;
   - ა(ა)იპ ხარაგაულის ისტორილი მუზეუმი 1,0 ათასი ლარი.
10. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის დეპუტატთა უფლებამოსილების ხარჯების შესავსებად დამატებით ესაჭიროება 25,6 ათასი ლარი, აქედან 20,0 ათასი ლარი შევსებული იქნას შრომის ანაზღაურების ხარჯებიდან და 5,6 ათასი ლარი მიიმართოს ნაშთიდან.

11. მუნიციპალიტეტის გამგეობას ესაჭირობა დამატებით 31,1 ათასი ლარი შრომის ანაზღაურების ხარჯების შესავსებად.
12. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს ასევე დამატებით ჭირდება 8,0 ათასი ლარი, აქედან შრომის ანაზღაურების ხარჯების შესავსებად 6,5 ათასი ლარი და 1,5 ათასი ლარი საოფისე ხარჯების გასაწევად.

ზემოთ აღნიშნული ხარჯების შესავსებად სულ საჭიროა 128,2 ათასი ლარი, ამ ხარჯების გაწევა მოხდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2015 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთიდან.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მომართვის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანადაფინანსების წესით განხორციელების უზრუნველყოფას, კერძოდ გზების, ხიდებისა წყლის სისტემის თანადაფინანსებას, საჭიროა მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ ბიუჯეტში დარგობრივი ცვლილება და სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ხარჯების დაფინანსებაში 30,7 ათასი ლარის გადმოტანა, მათ შორის გზების ხარჯებიდან 23,7 ათასი ლარი, წყლის სისტემის ხარჯებიდან 5,0 ათასი ლარი და ხიდების რეაბილიტაციის ხარჯებიდან 2,0 ათასი ლარი.

სულ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 9 627. 6 ათ. ლარი შემცირდეს 122. 7 ათასი ლარით და განისაზღვროს 9 504. 9 ათასი ლარით. (შემცირება განხორციელდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯზე)
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 10 266. 2 ათასი ლარი გაიზარდოს 5,5 ათასი ლარით და განისაზღვროს 10271,7 ათასი ლარით.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აგვისტოს #50/41 განკარგულებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59–ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი.1 გასწორებულ იქნეს განკარგულების მუხლების ნუმერაციასა და კომისიის შემადგენლობაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

მუხლი 2. შეტანილ იქნეს ცვლილება განკარგულების მე-4 მუხლში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ვარლამ თავზარაშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

თამარ ობოლაძე–სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ–რაჭა–ლეჩხუმ–ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის სპეციალისტი,

გოგი ლაცაბიძე – საკრებულოს წევრი

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გამოყვანილი იქნეს საკრებულოს წევრი გივი თხელიძე.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

რგპფ-დან დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების სია - ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

N	პრიორიტეტულობის დონე (მინიჭებული ქულა)	პროექტის დასახელება	რეგიონალური განვითრების სტრატეგიის მიზანი, რომელსაც პროექტი ემსახურება	რეგიონალური განვითარების სტრატეგიის ამოცანა/ ქვემიზანი, რომელსაც პროექტი ემსახურება	სავარაუდო ხარჯი (ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)	კონკრეტული ობიექტი	მოსალოდნელი შედეგ(ებ)ი/ მიღწევა (ინდიკატორი)
2016 წელი							
1	31	უბისა-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	2 . საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი მომსახურეობების გაუმჯობესება	2.11. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის (მ.შ. ხიდები, გვირაბები, ტროტუარები) გაუმჯობესება და ახალის მშენებლობა	1,200,000	უბისა ღორეშის გზა	მოასფალტდება 30 000 კვმ გზის ზედაპირი(5+4=9სმ), მოეწყობა სანიაღვრე არხი 2 300 მეტრზე, ცხაური და მილხიდი 40 ცალი, ისარგებლებს 2 700 ადამიანი;
2	31	ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა	4 განათლების კულტურის და სპორტის განვითარება	4.6 რეგიონის კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის საკლუბო დაწესებულებების, საგამაფენო დარბაზების განვითარება და არსებულის რეაბილიტაცია	591,000	ზვარის ახალგაზრდული ბანაკი;	პროექტის ფარგლებში მოხდება ყოფილი პინერთა ბანაკის 2 სართულიანი შენობის სრული რეაბილიტაცია 80 მოსარგებლეზე, მოეწყობა ეზო, ღობე და კომუნიკაციები.

3	31	დაბის N2,მოლითის,წიფის,ღორეშ ის, ხევის, საბავშვო ბაღებისათვის შენობების რეაბილიტაცია და სოფელ ვახანის საბავშვო ბაღში მეორე ჯგუფისათვის მიშენების მოწყობა;	4. განათლების, კულტურის და სპორტის განვითარება.	4.1. საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება, პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	350,000	საბავშვო ბაღები	დაბის N2 საბავშვო ბაღს ესაჭიროება ფუნდამენტის გამაგრება, დრენაჟის მოწყობა და კონსტრუქციული გამაგრება. მოლითის საბავშვო ბაღს ესაჭიროება სახურავის შეცვლა, იატაკის და ღობის შეკეთება. ღორეშის და წიფის საბავშვო ბაღს ესაჭიროება შენობის სრული რეაბილიტაცია. სოფელ ხევში და სოფელ ვახანში დამატებითი ჯგუფისათვის საჭიროა მიშენების მოწყობა.
4	31	ზვარის ახალგაზრდული ბანაკისათვის ინვენტარის შეძენა	4 განათლების კულტურის და სპორტის განვითარება	4.6 რეგიონის კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის საკლუბო დაწესებულებების, საგამაფენო დარბაზების განვითარება და არსებულის რეაბილიტაცია	200,000	ზვარის ახალგაზრდული ბანაკი;	პროექტის ფარგლებში 100 ადამიანისთვის შეძენილი იქნება: საწოლები, კედლის კარადები და ტუმბოები, მაგიდები და სკამები, მაცივარი, გაზის ღუმელი, სარეცხი მანქანა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ტელევიზორები, პროექტორი და ეკრანი, ფოტოაპარატი და ვიდეო კამერა, ლეიბები, გადასაფარებლები და ბალიშები

5	30	გზის დამცავი კედლების მოწყობა	2 . საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი მომსახურეობების გაუმჯობესება	2.11. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის (მ.შ. ხიდები, გვირაბები, ტროტუარები) გაუმჯობესება და ახალის მშენებლობა	140,000	დამცავი კედლები	პროექტის განხორციელებით მუნიციპალიტეტის 12 ობიექტზე განხორციელდება საყრდენი კედლების გამაგრება, რითაც შემცირდება საფრთხე შენობა ნაგებობების და გზების დაზიანებისა. პროექტის ფარგლებში მოეწყობა 400 კბმ დამცავი კედელი.
6	31	სოფელ გედსამანიის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	2 . საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი მომსახურეობების გაუმჯობესება	2.11. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის (მ.შ. ხიდები, გვირაბები, ტროტუარები) გაუმჯობესება და ახალის მშენებლობა	300,000	სოფელ გედსამანიის გზა	რეაბილიტაციის პროცესში განსაზღვრულია გზის ვაკისის გასწორება, სანიაღვრე არხების მოწყობა, გზის ზედაპირის საფარის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ბალასტით და მისი ვიბრო სატკეპნით დატკეპნა. გზის რთულ და პრობლემურ ადგილებში მოეწყობა ბეტონის საფარი, ცხაური და მილ-ხიდები
7	31	ზვარის ახალგაზრდული ბანაკის გზის რეაბილიტაცია	2 . საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი მომსახურეობების გაუმჯობესება	2.11. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის (მ.შ. ხიდები, გვირაბები, ტროტუარები) გაუმჯობესება და ახალის მშენებლობა	101,000	ზვარის ახალგაზრდული ბანაკი;	რეაბილიტაციის პროცესში განსაზღვრულია გზის ვაკისის გასწორება, სანიაღვრე არხების მოწყობა, გზის ზედაპირის საფარის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ბალასტით და მისი ვიბრო სატკეპნით დატკეპნა.

8	31	ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია(II ეტაპი)	2 . საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი მომსახურეობების გაუმჯობესება	2.11. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის (მ.შ. ხიდები, გვირაბები, ტროტუარები) გაუმჯობესება და ახალის მშენებლობა	287,000	ხარაგაული ბაზალეთის გზა	პროექტის განხორციელებით მოასფალტდება(სისქით 5+4=9სმ) 4 800 კვმ გზის ზედაპირი(მიჭის ვაკისი და საგზაო სამოსი 172 000ლარი), მოეწყობა 700 გრძივ მეტრზე სანიაღვრე არხი, მოეწყობა ცხაურები და მილხიდები(ხელოვნური ნაგებობები 11 501 ლარი). (მიერთებები და გზის კეთილმოწყობა 5 000 ლარი).